რამდენიმე დღის წინათ პორტუგალიაში გაიმართა მუნიციპალური არჩევნები. არჩევნების შედეგები მწვავე კამათის საგნად იქცა დასავლეთის პრესაში, საქმე ის არის, რომ ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ პარტიათაგან მხოლოდ კომუნისტებმა (რომლებიც სხვა მემარცხენე დაჯგუფებებთან ერთად გამოდიოდნენ) შეძლეს გაეუმჯობესებინათ თავისი მდგომარეობა აპრილის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით. რაც შეეხება მმართველ, სოციალისტურ პარტიას, მან ხმების სამი პროცენტით ნაკლები რაოდენობა მიიღო, ვიდრე აპრილში. ფრანგული „ორორის" აზრით სოციალისტთა წარმატებლობა მთავრობის შეცდომებით აიხსნება, ხოლო ლონდონის „ტაიმსი" კომუნისტთა წარმატებას განიხილავს როგორც ამმრჩეველთა „საპასუხო რეაქციას სოციალისტური პარტიის პოლიტიკური კურსის მარჯვნივ გადახრაზე".

მაინც როგორ პოლიტიკას ატარებს პორტუგალიის სოციალისტური პარტია, რამაკ ფართო მასების ასეთი მკვეთრი „საპასუხო რეაქცია" გამოიწვია? პარტიისა და მთავრობის მეთაურის მ. სოარეშის უკანასკნელ პერიოდში გაკეთებულ სიტყვათა განცხადებებში ამკარად იგრძნობა ერთგვარი უკან დახვევა. მ. სოარეში სულ უფრო და უფრო ხშირად მოითხოვს მოსახლეობისაგან „მსხვერპლის გაღებას", „დისციპლინირებულ გაფიცვებს", აშკიცებს ავრარულ რეფორმაში „კორეტივების შეტანის" აუცილებლობას და ა. შ. განისილავდა რა მ. სოარეშის ერთ-ერთ საჯარო გამოსვლას, იტალიური ჟურნალი „ეუროპეო" მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის ნომერში წერდა: „რასაკვირველია, ეს არ იყო სიტყვა სოციალისტურ რევოლუციაზე, ეს ნიშნავდა შეჩერებას, თუ არა საერთოდ უკუსვლას. ამრიგად, პორტუგალია ჩაერთო დასავლეთის ქვეყნების წრეში, რის შედეგადაც, ისევე როგორ დასავლეთის ყველა ქვეყანა, ისიც კრიზისს განიცდის".

ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კი მართლაც არასახარბიელოა. ცხოვრების სიძვირის ზრდამ თვეში 15 პროცენტს მიაღწია, წარმოების ერთი მეოთხედით შემცირებამ გამოიწვია ინფლაციის ზრდა (25-30 პროცენტი თვეში).

საბჭოთა იძულებულია უნიოთის კრედიტებით არსებობდეს და, რაც მთავარია, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მთავრობა უძლურია გამოასწოროს ეკონომიური მდგომარეობა. ისე როგორც ყველგან და ყოველთვის, უწინარეს ყოვლისა, მეგარჯვენე ძალები ცდილობენ ისარგებლონ მძიმე ეკონომიური მდგომარეობით; მათ ალმებზე კვლავ გამოჩნდა კარგად ცნობილი ლოზუნგი — „რაც უარესია, მით უკეთესია". ქვეყნის ჩრდილოეთში ძველ მეკატრონეთა ხელში გადადის ადრე ექსპროპრიირებული საწარმოები, მ. სოარეში საჯაროდ აცხადებს, ნაციონალიზაციისა და ექსპროპრიაციის თაობაზე ზოგიერთი ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება უნდა გადაისინჯოსო. ამავე დროს ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაციაა პორტუგალიის რევოლუციის ერთადერთი მთავარი მიღწევა, რომელიც ყოველმხრივ უნდა დაიცვას ნებისმიერმა მთავრობამ, თუ იგი ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.

ასეთ ვითარებაში პორტუგალიის მოსახლეობა, მიუხედავად მემარჯვენეთა მძაფრი ანტიკომუნისტური პროპაგანდისა, კვლავ რწმუნდება, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც რეალურად იბრძვის ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის, კომუნისტები და მათი მოკავშირეები არიან. ისე როგორც ფაშისტური დიქტატურის დღეებში, ამ მძიმე ჟამსაც პორტუგალიელები კვლავ ირაზმებიან კომუნისტთა ირგვლივ, როგორც ვხედავთ, უკანასკნელი არჩევნების შედეგები საგსებით კანონზომიერია.

ხ. ცინცაძე.

ამერიკელი ჟურნალისტების ესესიაზე

ფართოდ იწოლებენ

ნიუ-იორკი, (საკდესი). „ერუდიტს მსოფლიო გაერთიანება დიდად აფასებს ამ წელილს, რომელიც საბჭოთა მთავრობას შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებით კი სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს დამსახურებას საერთაშორისო ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან დარგებში შეთანხმებათა მიღწევის საქმეში". ეს განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის თავმჯდომარემ ჰ. შ. ამერასინგჰამ.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივას, რომელმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიაზე წამოაყენა წინადადება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების დადების თაობაზე, თქვა ჰ. შ. ამერასინგჰემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში, ფართო მოწონებით შეხვდა მსოფლიო გაერთიანება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ერთხმოვანებით აღიქვეს ა ერეთვე სხვა საბჭოთა ინიციატივები, რომელთა მიზანია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება.

ჰ. შ. ამერასინგჰემ ხაზი გაუსვა, რომ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული ღონისძიებების მეოხებით მიმდინარე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია განიარაღების შესახებ როგორც ეტაპი განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევის გზაზე.

ეროვნული ბალეტი

ტელეტაიპის ლენტიდან

„მდაბიონი" ბონის სცენაზე

● ბონი. მ. გორკის პიესები თანდათან იმკვიდრებს ადგილს დასავლეთგერმანული სცენის რეპერტუარში. წლევანდელ თეატრალურ სეზონში ბონის დრამატული თეატრმა დადგა პიესა „მდაბიონი". მეორე სეზონია ქალაქ ვუპერტალის დრამატული თეატრის სცენაზე დიდი წარმატებით იდგმება პიესა „ვასა ჟელეზნოვა".

საბჭოთა ფილმების კვირეული

● ადის-აბებბ. დიდი წარმატებით ჩაიარა ეთიოპიის დედაქალაქში საბჭოთა ფილმების კვირეულმა. ადისაბებისა და მისი გარეუბნების ათიათასობით მცხოვრებმა ნახა „ჯავშნოსანი პოტიომკინი", „ლენინი ოქტომბერში" და სხვა მხატვრული კინოფილმები.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა აკლილუ მარბტემ აღნიშნა ამგვარ ღონისძიებათა განხორციელების დიდი მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა საბჭოთა გამოცდილების უდიდეს მნიშვნელობას.

დაბაპტიმრეს ქურდი პოლიციელები

● ტოკიო. იაპონიაში გაბრირებულ ხანგლალურ მხილებათა სერიას, როცა კანონის დამრღვევები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე თვით „წესრიგის დამცველნი", შეემატა კიდევ ორი ფაქტი. ტოკიოს ერთ-ერთ ვაგზალში დაიპატიმრეს ნაგოელი პოლიციელი, რომელმაც ზედიზედ რამდენიმე ქურდობა ჩადინა. მეორე იაპონელმა პოლიციელმა ქალაქ კუსიროდან (მოკაიდოს კუნძული), რომელიც ღამით ბანკს ყარაულობდა, მისი სეიფიდან მოიპარა ფულის კუპიურები 2,5 მილიონზე მეტი იენის რაოდენობით.

უმუშევრობა იზრდება

● ბრიუსელი. „ხაერთო ბაზრის" მეტ ნილ ქვეყნებში კვლავ იზრდება უმუშევრობა. ევროპის გაერთიანებათა კომისიამ აქ გამოაქვეყნა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი ბელგიაში გაიზარდა 16 პროცენტით, დანიაში — 5 პროცენტით, იტალიასა და ირლანდიაში — 4 პროცენტით.

მოკლედ

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

სამუზეუმო საქმის დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ამის ნათელი დადასტურებაა გაზეთ „პრავდის" ამას წინათ გამოქვეყნებული მოწინავე — „მუზეუმი თანამედროვეობას ემსახურება", სადაც აღნიშნულია მუზეუმის უდიდესი როლი იდეოლოგიურ და სასწავლო-საგანმზრდელო მუშაობაში. სწორედ ამიტომ ეწყობა მუზეუმების საკავშირო დათვალიერება, რომელიც დაკავშირებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადებასთან.

ყოველი ტიპის მუზეუმის საქმიანობაში ძირითადია ნივთი — ექსპონატი, რომელიც, როგორც „პრავდის" მოწინავეშია აღნიშნული, მხოლოდ საცავებში კი არ უნდა ინახებოდეს, არამედ ხელმისაწვდომი იყოს დამთვალიერებელთათვის. ამრიგად, მუზეუმის ფონდების მაზნობრივი გამოყენება, მათი კოლექციებით გამდიდრება და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ექსპონირება სადღეისო ამოცანად არის დასახული.

წინამდებარე წერილში ჩვენი რესპუბლიკის მუზეუმების მუშაობის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს შევეხებით, სახელდობრ დაინტერესებთ სამუზეუმო ფონდების შევსების მტკივნეული საკითხით. მითუმეტეს, რომ კანონში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ" ცალკეული ნივთი, რომელსაც ისტორიულ-ესთეტიკური ღირებულება აქვს, სრულფასოვან ძეგლად არის მიჩნეული.

მართალია, გაზეთ „კომუნისტში" საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა — „რატომ დაკარგეთ ფიროსმანის ტილო". ამ წერილის გაცნობის შემდეგ კაცს სინანული ეუფლება, რომ ჩვენი სათაყვანებელი მხატვრის ისედაც მცირე გადარჩენილ შემკვიდრეობას კიდევ ერთი ქმნილება დაკლდა. და მერე, რაც მთავარია, სათანადო სპეციალისტთა მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ხალხში გაბნეულ რელიკვიებსა და ისტორიული ღირებულების მქონე ნივთებზე ძალიან ცოტა ინფორმაციაა გვაქვს, რადგან ამ თვალთახედვით მუშაობა ჩვენში საჭირო ინტენსივობით არ წარმოებს. ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ ზოგიერთ ოჯახში არ იციან ამა თუ იმ ძველი ნივთის ფასი და მას ხელაღებით ანადგურებენ. ვინ იცის, ამ უნებლიე ვანდალიზმის მსხვერპლი ფიროსმანის რამდენი ტილო გახდა. ეთნოგრაფები ვყოფილვართ ამის მოწმენი, როცა მოდიდან გამოსული, უნიკალური, ძველქართული ავეჯი ცეცხლისთვის შეუკეთებიათ, ანდა მამაპაპური ტახსაცმელი ინტაკის საწმენდად გამოუყენებიათ. მარტო ამის გახსენება რად ღირს, ეკითხეთ თაყაიშვილმა უბრწყინვალესი ქართული წერილობითი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება" ნაგვის გროვაში რომ იპოვა!

დიახ, დღეს თითქმის დაკარგულია საოჯახო საბუთების შენახვის შესანიშნავი ტრადიცია. ყოველ წესიერ ოჯახში მოიუქცურმებელ პატარა ყუთ-მაქალოზში ფაქიზად ეწყო საგვარეულო სიკილ-გოჯრები, მზითვის წიგნები, ანდერძები, თამასუქები, ნასყიდობები და სხვ. შემდგომი თაობის გულგრძელობის გამო მათი უმეტესობა მოისპო და საცავებამდე მცირე ნაწილმა მიაღწია. ამჯერად, ძნელია შეიფასო ზარალი და იანგარიშო, უმეცრებამ თუ დაუდევრობამ მშობლიური ისტორიის რამდენი გვერდი დაიკლო. ეს საკვალო პროცესი მეტ-ნაკლებად ახლაც გრძელდება. მართალია, ცალკეული ინსტიტუტი, მუზეუმი და არქივი კოლექციების გამოსაკლენად და შესაძენად გარკვეულ მუშაობას ეწევა, აწყობს ექსპედიციებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ასე, მაგალითად, პროფესორმა ვ. ბარდოგელიძემ ალმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოიკვლია და ფეტალურად აღწერა რიტუალური დანიშნულების ნივთები, რომელთა სამუზეუმო დონეზე დაცვა, ჯერჯერობით, ისევ განუხორციელებელია.

სვანეთის ეკლესიებში შემონახული განძის კომპლექსურმა შესწავლამ, რასაც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ნაყოფიერად ეწევა (ექსპედიციის ხელმძღვანელი მ. ჩართოლანი) დაგვარწმუნა, რომ ჩვენი მუზეუმების ფონდებში ნახევარიც არ არის დაცული ამ ეროვნული სიმდიდრისა, რაც ქართველ ხალხს მოეპოვება. ამ მდგომარეობას ალღო აუღო ზოგიერთმა მოხრეხებულმა კოლექციონერმა და უფასოდ ან ჩალის ფასად აგროვებს ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს, ეთნოგრაფიული ნივთებს, ფიქრწერილ ტილოებს და ადგილობრივ მუზეუმებზე დანაკისხლად ჰყიდის, ხოლო, როცა სასურველ ფასს არ შეაძლევენ, მაშინ საეჭვო გზით მონაპოვარი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიქეცს. არ არის გამორიცხული, ისტორიული ნივთები სუვენირების სახით ან სხვა უფრო დაუშვებელი ხერხებით უცხოეთშიც ხვდებოდეს. საკმარისია გავიხსენოთ მეფის დროს გატაცებული ძველქართული უბადლო მიწანქრები, რის გამოც სპეციალისტებს და საძველეთა მხცოვან მოყვარულებს დღესაც არ ვანელებათ სევდა და სინანული. საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვარი დაუდო ქართველი ხალხის განძის განთვისებას. სწორედ ჩვენს ეპოქაში გახდა შესაძლებელი ეროვნული რელიკვიების ერთად თავმოყრა და საბჭოთა ხელმწიფოებრივ დონეზე დაცვა. მაგრამ ყოფაში ეთნოგრაფიული ნივთების დიდმა ნაწილმა „სახმარი ღირებულება" დაკარგა და ისინი სწრაფად ქრებიან, ხოლო მათი გეგმაზომიერი მოძიება-აღრიცხვა ნაკლებად წარმოებს. სწორედ ამის გამო შესაძლებლობა ეძლევათ ქორავაჭრებს ხალხში გაბნეული რელიკვიების ნაწილი ხელთ იგდონ. ფრთა საზღვარი დაედოს ამ სტიქიურობას. დედაქალაქზე, რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონს აქვს თავისი მუზეუმი, მაგრამ ზოგიერთი მათ-ლისკიებებს ერთად თავმოყრა და სახელმწიფოებრივ დონეზე დაცვა. მაგრამ ყოფაში ეთნოგრაფიული ნივთების დიდმა ნაწილმა „სახმარი ღირებულება" დაკარგა და ისინი სწრაფად ქრებიან, ხოლო მათი გეგმაზომიერი მოძიება-აღრიცხვა ნაკლებად წარმოებს. სწორედ ამის გამო შესაძლებლობა ეძლევათ ქორავაჭრებს ხალხში გაბნეული რელიკვიების ნაწილი ხელთ იგდონ. ფრთა საზღვარი დაედოს ამ სტიქიურობას. დედაქალაქზე, რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოში თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონს აქვს თავისი მუზეუმი, მაგრამ ზოგიერთი მათ-

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

... ბრალდებულ

ზელოვანი და აღმზრდელი

□

სილოვან კაკაბაძე 80 წლისაა

თბილისის სამხატვრო აკადემიის დარბაზში გაიმართა საიუბილეო სალამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, მოქანდაკე სილოვან კაკაბაძის დაბადების მე-80 და შემოქმედებითი მოღვაწეობის მე-60 წლისთავს.

საიუბილეო სალამო შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა გ. თოთიბაძემ.

მოხსენება ს. კაკაბაძის ცხოვრების, შემოქმედებითი გზისა და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ გააკეთა აკადემიის სახვითი ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგემ, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. რჩეულიშვილმა.

• • •

საქართველოს სახალხო მხატვარი სილოვან კაკაბაძე დიდ შემოქმედებითს შრომასთან ერთად ნაყოფიერად მოღვაწეობს პედაგოგიურ ასპარეზზე. მისმა ენერგიამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის განმტკიცებასა და აღმავლობას. მან მთელი თავისი ცხოვრება ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში გაატარა და ყველგან და ყოველთვის აქტიურად, მთელი შემართებითა და ქართული სახვითი კულტურის დიდი სიყვარულით იღვწოდა.



სილოვან კაკაბაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში 1924 წელს მოვიდა. ჯერ როგორც სტუდენტი, 1932 წლიდან კი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო. მან საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. 1909 წლიდან 1913 წლამდე ზეინკალ-მექანიკოსად მუშაობდა. უყვარდა ხელოვნება, ქანდაკება და ფერწერა. 1924 წელს სამხატვრო აკადემიაში შეიდა, რომელიც 1930 წელს დაამთავრა ი. ნიკოლაძის კლასით. 1932 წლიდან პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. იყო ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი... 1942 წელს მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიანიჭეს პროფესორის წოდება. 1936 წლიდან 1942 წლამდე იგი სამხატვრო აკადემიის დირექტორის თანამდებობაზეა.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა სილოვან კაკაბაძის ღვაწლი ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და შემოქმედებაში დიდი წარმატებისათვის იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ოთხი „სპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით, მრავალი სიგელით.

პროფესორმა ს. კაკაბაძემ მთელი ალეადა აღზარდა მოქანდაკეებისა, რომელთა შემოქმედებაც ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ არის ცნობილი.

დღეს სილოვან კაკაბაძე ჯანღონით სავსე, ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს აქტიურ შემოქმედებითს ცხოვრებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. თბილისის სამხატვრო აკადემიის მთელი კოლექტივი გულმხურვალედ ულოცავს **სახელოვან** შემოქმედსა და საუცხოო იუბილეს. საიუბილეო თარიღს და ახალ შემოქმედებითს წარმატებებს უსურვებს ქართული ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.

გ. თოთიბაძე,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სოფელმა დააფასა

სიღნაღი. სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლებმა აღნიშნეს ხალხური სიმღერების პოპულარული შემსრულებლის გ. ტუხაშვილის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

გ. ტუხაშვილი არაერთხელ დაუჯილდოვებიათ დიპლომებით, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით, თვითმოქმედ კოლექტივებში მონაწილეობისა და ამ კოლექტივების ხელმძღვანელობისათვის, ტელევიზიით და რადიოთი გამოსვლებისათვის. ახლა იგი ხელმძღვანელობს სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობისა და აქაური საშუალო სკოლის თვითმოქმედ კოლექტივებს. (საქინფორმი).

მწყობრში ჩადგა...

თბილისის საშენ მასალათა კომბინატში გახსნილი ახალი საამქრო გამოუშვებს მხატვრული მინის ნაწარმს. ახალ წელს საამქრო გამოუშვებს ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციას, მომავალში წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ბაბუშერის ეთერზეთოვან საბეოთა მეურნეობა-ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ციტრუსოვანთა ესენციის წარმოების ქარხანა. მისი სიმძლავრე წელიწადში 20 ტონა პროდუქციაა. ამ ესენციის ფართოდ იყენებენ საკონდიტრო და სპარფიუმერიულ მრეწველობაში.

(საქინფორმი).

მკითხველის კალმით

□ **საჩხერე.** კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთათვის მორიგი მეცადინეობა გაიმართა. მოხსენებები: „ტრადიციები და სამართალი", „იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", „ინტერნაციონალიზმი — ჩვენი ეპოქის მოთხოვნა" — წაიკითხეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. კეკელიძემ, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. რამიშვილმა და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ლომაშვილმა.

აპ. მაჭარაშვილი.

□ **თელავი.** „ჩემი ცხოვრების ხვალინდელი დღე" — ამ საკითხს მიეძღვნა დისპუტი, რომელიც იყალთოს საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. ბერძენიშვილი) მოეწყო. შინაარსიანმა საუბარმა მოსწავლეებზე **დიდი შთაბეჭდილება** მოახდინა.

უ. მეთოდიშვილი.

□ **ტყიბული.** ამ **დღეებში** მეშახტეთა კულტურის სახლში შეკრებილ ლიტერატორთა საკლასო შეკრება გაიმართა.

შეკრების მონაწილეებმა ყანახელს მეშახტეთა გმირული შრომისადმი მიძღვნილი ლექსები.

ი. შარაბიძე.

საახალწლოდ...

ახალოვდება ახალი წელი, დიდია თუ პატარასთვის სანუკვარი, ტრადიციული ზეიმი. ემზადებიან ყველგან, ემზადებიან თბილისშიც. საახალწლო ნაძვისხე. მას როგორც დედოფალს ისე უხდება ნაირფერი სამკაულები, სხვადასხვა სათამაშოები. ახალი უხვად არის მაღაზიებში. გაჩაღებულია საახალწლო ვაჭრობა.

სურათზე ზემოთ აღბეჭდილია უნივერსალური მაღაზია „თბილისი" სათამაშოების სექცია. გამყიდველი მ. ხიზანიშვილი სათამაშოებს ურჩევს მომხმარებელ მ. აბუაშვილს;

ეს დღე აბა როგორ შეიძლება არ მიულოცო ახლობელს თუ მოკეთეს, ამხანაგსა თუ მეგობარს. ქალაქის ქუჩებში ალბათ შეამჩნევდით ხალედახალო კიოსკებს, სადაც ლამაზად გაფორმებული საახალწლო მისალოცი ბარათები იყიდება. აი ერთ-ერთი ასეთი კიოსკი (სურათზე — შუაში);

ეს გოგონები (მარჯვნივ — ქვემოთ) თბილისის 47-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები სათუნა კვირაია და ლიანა მაჭარობლიშვილი არიან. მათ ეს-ეს არის ახალი წლისთვის ნაძვისხე შეეძინის,

ხ. კილაძის ფოტო.

საახალწლო თეატრის დადგმები

ყვარელი. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა მაყურებელს სეზონის მორიგ წარმოდგენად უჩვენა ა. პუშკინიძის პიესა „ნისლიანი დღეები". სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ შ. ქაფიანიძე, ვ. ბაგორაშვილი, ლ. გულიაშვილი და სხვები. სპექტაკლი მოიწონა მაყურებელმა.

თეატრის კოლექტივი რეჟისორ ა. შერგელაშვილის ხელმძღვანელობით აპირებს ვ. გოგოლაშვილის ორმოქმედებიანი კომედიის „შვიდნობით სიყვარულს" დადგმაზე მუშაობას.

მოეწონათ ლენინგრადელებს

ბათუმი. (საკ. კორ.). მ. კუბანიძის სახელობის აკადემიური სახელმწიფო დრამატული თეატრის ბრიგადამ ინსტრუქტორ ვ. ბოლოტნიკოვის ხელმძღვანელობით ლენინგრადში. როგორც ანსამბლის ხელოვნების ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. ხაბაძემ თქვა, კონცერტებზე ხშირად ამეორებინებდნენ ცეკვებს „ფარიკაობას", „მთიულურს", „განდაგანს", „ბეგრ ჭაბუკურ ხალხურ სიმღერას.

ჭიდავ ერთხელ, ხანამ გვიან არ არის

მოსკოვიოს ბრაგულ ქვეყანაში ამ უკანასკნელ ათ წელიწადში შესამჩნევი ხდება ათეროსკლეროზიათა და გულის ხუთვით დაავადების ზრდა. ამან ახლა ახალი სახელწოდება მიიღო — „გულის ეშმიური დაავადება".

ამ დაავადებებს ყოველწლიურად ჩვენში ბევრი ადამიანი 2,5 მილიონი სიცოცხლე მიაქვს.

ყველაზე ხშირად ეს დაავადებები დაკავშირებულია იმ სისხლძარღვების სისხლის ღენის დარღვევასთან, რომელთაც გულს ამარაგებს ქანგბადითა და სხვა საკვები ნივთიერებებით. ამის ყველაზე მრისხანე შედეგად მოკალდის ინფარქტი. თუ ათეროსკლეროზმა კუჭისქვეშა ჯირკვალი დაიზიანა, მაშინ შეიძლება დიაბეტი განვითარდეს, ხოლო როცა პროცესის ლოკალიზება ფეხების სისხლძარღვებში ხდება, ადამიანი შეიძლება დაკოჭლდეს. ეს რამდენი სიმშიი შედეგი ახლავს ხოლმე ამ დაავადებას.

შედარებით უფრო ხშირად ახალგაზრა დაავადებებისაკენ მიდრეკილება აქვთ ხოლმე ავადმყოფებს ნათესავებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ყველაფერი მემკვიდრეობითობისათვის გადაგვებრალებინა. დაჩქარებული ურბანიზაცია, დაუოკებელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები — ხმაური, სტრესები, ნერვულ-ფსიქიური დაძაბულობა — უპირველეს ყოვლისა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ნერვულ სისტემას. ამის შედეგად იზრდება იმ ჰორმონების ბალმაუშავება, რომელთა დახმარებითაც ორგანიზმი ეგუება გარემოს. შეიცვალა, მაგრამ ხშირად ასეთი ჰორმონალური გადაწყობის შედეგად ზარალდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა— შეგუების თავადი რეაქციებს უშუალო შემსრულებელი.

შედარებით ახლო წარსულში ბატონობდა აზრი, რომ ათეროსკლეროზს საფუძველად უდევს ცხოველური ცხიმების ჭარბი ხმარება. ზოგიერთს ისიც კი მოეჩვენა, რომ გულ-სისხლძარღვული კატასტროფებისგან კაცობრობის ნახევარ ქვაბის ფსკერზე უნდა გეძინოთო. დღეისათვის ცხადი გახდა, რომ საქმე გაცილებით უფრო რთულია, რომ კვებილდღეობის დარღვევისაკენ მივყავართ სულ სხვა ზემოქმედებებს, რომლებიც ერთიანებულია ერთი ტერმინით—„რისკის ფაქტორები". მხედველობაშია მუდმივი ნერვულ-ფსიქიკური გადაღლა, ცხიმების ცვლის დარღვევა, არტერიული წნევის მომატება, თამბაქოს წევა, ჭარბი წონა და ბოლოს — მცირე ფიზიკური აქტივობა.

ამ ავადსახსენებელი „ფაქტორების" შესახებ ახლა იმდენს ლაპარაკობენ და წერენ, რომ ისინი, როგორც იტყვიან, ყველას პირზე აკერია. ამიტომ აზრი აქვს ერთხელ კიდევ მოკლედ ვთქვათ იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა ხოლმე საკუთრივ გულის ეშმიური დაავადებად ესა თუ ის მავნე შეტევა და ხამართლიანი იქნებოდა სწორედ სტრესებიდან დაგვეწყო. მათი ზეგავლენით არსებითად მატულობს „დეპიდან" ჩალექილი ცხიმების „გამოხროლა", იზრდება სისხლის შედედება და ხშირად წარმოიშობა ისე, მაგალითად, II, III და IV საოჯახო ტიპები გვხვდება ჩვეულებრივად ისეთ ადამიანებს შორის, ვისაც უკვე აწუხებს ათეროსკლეროზი და გულის ეშმიური დაავადება, ან მემკვიდრეობით აქვს მიდრეკილება მათკენ. ამ მდგომარეობის ცოდნა არსებობდა ფართოდ გულ-სისხლძარღვული კატასტროფების პროფილაქტიკის შესაძლებლობებს.

არტერიული წნევის ამაღლება — მესამე „სარისკო ფაქტორია". იგი კანონზომიერად ზრდის დატვირთვას, რომელიც გულსა და სისხლძარღვებზე მოდის. ამიტომაც არის ასე აქტუალური ყველა ღონისძიება, რომლებიც ამ ხელს უწყობს ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლის ნორმალიზებას. ძარღვებში სისხლის წნევის მდგრადი ამაღლება თვითეულმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს, როგორც მკაცრი გამაფრთხილებელი ნიშანი — ალეკლებელია უფრო მეტად ვიზრუნოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, მივიღეთ ჭეშმარიტ, შეასრულოთ მისი რჩევა-დარიგება.

თამბაქოს წევა მავნებელია ყველა თვალსაზრისით. ამ მხრივ გამორიცხული არ არის გაზრდილი რისკი, რომ მის ნიადაგზე შეიძლება განვითარდეს ეშმიური დაავადება. ნიკოტინი ანაზღაურებს გულის კუნთსაც და სისხლძარღვებს კედლებსაც, ზრდის მათს მიდრეკილებას კრუნჩხვებისადმი, ამაღლებს სისხლის შედედების უნარს, ფიტავს ნერვიულ პროცესებს თავის ტვინის ქერქში. თვითეული მოწეული სიგარეტი ანეიტრალებს 25 მილიგრამამდე C ვიტამინს—თითქმის ორგანიზმის ხიდღლამისო მოთხოვნილების ერთი მესამედს. ხშირად ამიტომ ამ ვიტამინს შეიცავს საშუალო სიდიდის ერთი ფორთობალი. ჰოდა ადვილად შეიძლებოდა გამოთვლოთ, რამდენი ფორთობალი უნდა შეეჭამოს ადამიანს, ვინც ღღეში 15-20 სიგარეტს ეწევა?

ყველა განვითარებულ ქვეყანაში ქალების 50 პროცენტზე, მამაკაცების 30 პროცენტზე და ბავშვების 10 პროცენტზე მეტს ჭარბი წონა აქვს. **ხოლო ხუთ ოლიგ 10-19 პროცენტი ზედმეტი კილოგრამი 14 პროცენტით ზრდის სიკვდილის შემოკლებას ალბათობას.**

ნიუ-იორკში არსებობს ამ ადამიანთა განსაკუთრებული კლუბი, ვინც თავისუფლის აღვილებს საკუთარ წონას და ამ, შვიდი წლის განმავლობაში 40-49 წლის ასაკის წევრებს შორის, რომლებმაც შეიზღუდეს ცხიმებსა და ნახშირწყლების მიღება, მოიკარდის ინფარქტის ნიხშირეს 1,96 შედგენა ათასზე, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის საშუალო ციფრი 6,47.

ალბათ არავინ დარჩება გულგრილი გამოკვლევის ამ შედეგების მიმართ, რომლებიც გვიჩვენებს, რომ სკოლაში შესვლისთანავე ჩვენი ბავშვების მოძრაობითი აქტიურობა დაახლოებით სანანირად მცირდება, ხოლო კლასიდან კლასში გადასვლის მიხედვით — 85 პროცენტამდეც. შედეგები კი ასეთია: ირღვევა ნერვულ-კუნთოვანი დაძაბულობის თანაფარდობა, ქრება ბიოლოგიური შემგუებლობისა მექანიზმები და რაც მთავარია, იფიტება გულ-სისხლძარღვთა სისტემის შესაძლებლობანი მოახდინოს ამ სამწუხარო ცვლილებების კომპენსაცია.

ძნელია შეურიგდე აზრს, რომ ღღესაც კი ბევრი ჩვენგანი შეცდომას სჩადის, როცა ბავშვებსაც და საკუთარ თავსაც დამატებითი საფრთხის წინაშე აყენებს მხოლოდ იმის გამო, რომ ვერა და ვერ „გამოუნახავს" დრო სისტემატური ფიზიკური დატვირთვისათვის.

ამიტომ სასარგებლო იქნება მოვაგონოთ მათ, რომ, სულ რაღაც 8-10 კილომეტრზე თუ გავასეირნებთ, საკუთარი მარაგიდან დაეხარჯავთ სულ ცოტა 100 ჯრამ ცხიმს და, რომ ფიზიკურად მშრომელ ადამიანებს 3-4-ჯერ უფრო ნაკლებად აწუხებს ეშმიური დაავადებები.

პროფესორი
ნ. ფურაკალო,
(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი).

დანიის ფორუმის შემდეგ

დანიაში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის მორიგი, XIX სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო ოსტატი და ფიდეს ექსპერტი (ეტიუდებში) ბია ნადარეიშვილი.

გთავაზობთ მის ხუთარს კომპოზიციაში საკავშირო კატეგორიის მსჯთან, „კომუნისტის" საჭადრაკო მიმმოლელეულთან ვ. ნეიმანთან.

— თბილისის საერთაშორისო კონგრესისგან, რომელიც ფიდეს კომისიის XVIII სხდომის დროს გაიმართა, ერთი წელი გავიდა. რით იყო ხასიათერესო და ღირსშესანიშნავი მორიგი სხდომა?

— თბილისის ფორუმზე უფრო საზეიმო ვითარება სუფევდა. ამასთან, იგი უფრო ხალხმრავალი იყო და დიდი საერთაშორისო ბალიკონკურსით დაგვირგვინდა. ამან განაპირობა კიდეც რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" დასტამბა ამ კონგრესისადმი მიძღვნილი ილუსტრირებული კრებული, რომელსაც მოწონებით შეხვდნენ დანიაში შეკრებილი დელეგატები.

მორიგი სხდომა უფრო მოკრძალებული იყო. იგი შედგა დანიის პატარა ქალაქ რიბეში, 18 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სხდომაზე განხილულ საკითხებიდან პირველი რიგში უნდა აღინიშნოს ევროპის დასწრებული ჩემპიონატი ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში, რომლის ნატარება თავად ბულგარეთმა. კომისიამ აგრეთვე განიხილა მსოფლიოს მორიგი გუნდური პირველობანი ორგანიზაციის, „ფიდეს ალბომის" ახალი გამოცემების, საპატიო წოდებებს მინიჭების და სხვა საკითხები. მუშაობა მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

— სხდომაზე თქვენ მიწვეული თუალი როგორც ხეტიუდო ექსპერტი. რა ფუნქციები აკისრია კომისიის ექსპერტს?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა შევნიშნო, რომ ეს წოდება მხოლოდ ეტიუდებში და ზეპირულ ჭადრაკშია შემოღებული. ალბათ იმიტომ, რომ ორივე უანრი რთულია და ორთოდოქსულ საბოლოო კომპოზიციასთან მსოფლიო მასშტაბით შედარებით ნაკლებად გავრცელებული. ექსპერტის ფუნქციაა „ჯინსულტაცია" გაუწიოს წევრებს წამოჭრილ სადისკუსიო საკითხებში, იყოს თავისი დარგის პოპულარიზატორი, ინტერესების დამცველი და ფართოდ ინფორმირებული პირი.

— რით გამოიხატა თქვენი, როგორც ხეტიუდო ექსპერტის ხელმძღვანობა დანიაში?

— კომისიის გაეცალნ სიეტიუდო ხელოვნების შემდგომი პოპულარიზაციის გზები. რა დასამალავია, რომ ეტიუდი, პრაქტიკულ თამაშთან ყველაზე ახლოს მდგარი კომპოზიციის ეს დარგი, ჯერ კიდევ არ არის მასობრივად „ათვისებული" ამომხსნელების მიერ. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ეტიუდის ამოხსნას საკმაო პრაქტიკული ძალა სჭირდება, ამავე დროს, ეტიუდი — ჭადრაკეთა კომბინაციური თვალთახედვის განვითარებისა და ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო სკოლაა. საჭიროა ამომხსნელთა უფრო მეტი დაინტერესება ეტიუდით. ამოსახსნელად უსდა შეერჩეს ისეთი პოპულარული ნაწარმოებები, რომლებიც მიგიზიდავს ბუნებრივი საწყისი ფორმით, გონებამახვილური ჩანაფიქრით, შთამბეჭდავი ფინალითა და ნაკლებად რთული ამოხსნით.

— პოპულარული ეტიუდის ეს ცნება საყურადღებოა. იგი უთუოდ დაინტერესებს კომპოზიციის მოყვარულებს. ამასთან დაკავშირებით, ხომ ვერ შეგვარჩევთ ახალი ეტიუდის მაგალითს, რათა იგი ჩვენს მკითხველს წარუდგინოთ?

— სიამოვნებით!

დანიელი, 1968



ეტიუდი

თქვენს წინაშეა ინგლისელ კომპოზიტორის ქმნილება, რომელიც შეიძლება ნაკლებად ცნობილი იყოს ფართო მკითხველისათვის. ერთი შეხედვით ამ უბრალო დაბოლოებაში ნამდვილად გონებამახვილური და უშედეგოთო ბრძოლა იმართება: 1. e:e4 მოკლეთ ამოხსნის დაწყება უნდა მოკვლით (ამოხსნის დაწყებაუნდა ეაპატიოთ ამ საუკუნის დამდეგს შექმნილი ნაწარმოების ავტორს) 2. ...Фg1!! a2 (ტალს აღება არ შეიძლებოდა პატის გამო) 3. e:e1! (ცუდია 3. e:e5? a1ф! 4. ...f5+ ...Фg6 5. ...f8 ...h1+ 6. ...Фg3 ...h3+ და შავები იგებენ) ...h1 4. e:e5! a1ф! შესანიშნავი პასუხი (ალეის ლაზიერად გაუვანა ახალ პატს იწვევს) 5. ...e5! e:a5 პატი, ან 5... ...a2 6. ...a7+. ყაიმოთ.

— ამედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხეტიუდო ხელოვნება, რომელიც ახე კარგად არის განვითარებული საბჭოთა კავშირსა და, კერძოდ, საქართველოში, სხვა ქვეყნებშიც ფალე შეიძენს ბევრ დამფასებელსა და თაყვანისმცემელს.

—დიახ, **ამჟამად** მეტი ყურადღება ექცევა ეტიუდის განვითარებას ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის აშშ, ინგლისი, გფრ, გდრ, იუგოსლავია. სწორედ ბოგრებშია განზრახული გაისად კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის მორიგი XX საიუბილეო სხდომის მოწვევა, სადაც კვლავ გაგრძელდება ეტიუდის განვითარების გზები ძიება.



ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲑᲣᲨᲘᲡ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ქროდა. დაბლობ რაიონებში 10-12, მთებში 1-4 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად მოღრუბლული ამინდი იდგა, თეთრი წყაროში, დუშეთში, თიანეთში, ლენინგორში თოვდა, თბილისში თოვლ-წვიმა იყო. დაბლობ რაიონებში 1-4 გრადუსი სითბო. მთებში ნული — 4 გრადუსი ყინვა აღინიშნა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 8-13, მთებში 1-6 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მეორე ნალექი და ნისლი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში ნული — 5 გრადუსი სითბო, მთებში 1-5 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია მეორე ნალექი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო.

ᲞᲠᲘᲖᲘ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ საერთაშორისო ტურნირის განრიგი ორგანიზატორებმა ამჯერადაც ისე შეადგინეს, რომ შეჯიბრების კულმინაციად ტრადიციულად იქცა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი.

სწორედ მას უნდა გადაეწყვეტა ექვსდღიანი დავა, თუ ვინ მოიპოვებდა ტურნირის მთავარ პრიზს — ქაშანურისაგან დამზადებულ ერთმეტრიან მხიარულ ჭოკეისტს პოპულარულ „სნეგოვეკს".

ეს იყო სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მეცამეტე ორთაბრძოლა გაზეთ „იზვესტიის" პრიზისათვის. მანამდე 6 მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, 5 — სტუმრებმა, ერთი ფრედ დამთავრდა. ჩეხოსლოვაკიელ ჭოკეისტებს პირველ ადგილზე გასვლისათვის ახლა მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდათ, მაშინ როდესაც საბჭოთა ნაკრებს ფრეც აძლევდა ხელს.

ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა **საბჭოთა ნაკრებმა** და მერვედ მოიპოვა **გაზეთ „იზვესტიის" მთავარი პრიზი.**

მეორე პრიზი შვეიცარიის ჭოკეისტებს გადაეცათ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები მესამე ადგილზეა.

გუშინვე ტურნირზე გაიმართა კიდევ ერთი მატჩი, რომელშიც აუტსაიდერები თამაშობდნენ: კანადა — ფინეთი. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს კანადელებმა („ვინიპეგ ჯეტსი") და მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ. ფინელები უკანასკნელ, მეხუთე ადგილზე არიან.

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲒᲗᲐ

ᲕᲐᲫᲛᲐ 44-ე საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურში ერთმანეთს შეხვდა პირველი ადგილის ორი პრეტენდენტი — მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი (თეთრები) და პოლუღაევსკი. ისინი ჩინებულად იცნობენ ერთმანეთის თამაშის მანერას — 15 წელს ხომ პრეტენდენტთა მატჩი მოუწდათ შეხვედრა. ამჯერად, ეტყობა, მაინც სიფრთხილემ გაიმარჯვა. მეტოქეებმა დაზავება არჩიეს. ასე მოიქცა მეორე ლიდერი ბალაშოვი დორფმანთან. ამრიგად, კარპოვი ბალაშოვი ამ ტურის შემდეგ ათ-ექულით კვლავ ინდივიდუალურად იკავებენ პირველ-მეორე ადგილებს.

ერთგვარმა შეფერხებამ იმედები აღძრა მდევრებს. რომანიშინ-პეტროსიანის პარტიაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოიგო ხარისხი. პარტია ბალიდო. თუმცა რომანიშინმა დაკარგა ხარისხში ერთგვარი კომპენსაციაც მიიღო, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც უარესია. ტალ-ტაიმანოვი ასმისლოვ-გელერი ყაიმზე შეთანხმდნენ. გულკომ წაგო გრიგორიანთან.

ბუშინ კარპოვმა დაამარცხა გრიგორიანი და ერთპიროვნული ლიდერი გახდა — 11 ქულა. ბალაშოვი და სმისლოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲚᲝᲛᲐᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ჭადრაკის ხასახლეში ტრადიციულ ჩემპიონატში სამი ტურის შემდეგ ორი ქულით ერთ ... გადადებული პარტიით ლიდერობს ოსტატი ლომაია. თუმცა ლომაია უკანასკნელ წლებში იშვიათად მონაწილეობს შეჯიბრებებში, იგი ამ ტურნირში ძლიერ და საინტერესო თამაშს გვიჩვენებს.

ᲬᲘᲚᲘᲡᲬᲠᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ ფიდეს პრეზიდენტმა მაქს ეივემ საბჭოთა ლეგიონის ხელმძღვანელ ოსტატ კოტკოვის თანდასწრებით ჩაატარა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ქალთა წყვილიხურო, რომელშიც ასეთი შედეგები მოვიპოვეს: ალექსანდრია ეთამაშება ჩიბურდანიძეს, ფატალიბეკოვა — კოლოვსკაიას, ლევიტინა — კუზნეცოვასა და ასმილოვსკაია — ლემაკოვას. ნოკაუტით: სეევრიოდენსკაია — ნიკოლოზ აქსიონოვთან.

სპორტის მოყვარულებს სსრ კავშირის ანსოლუტური ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლა (ისინი უკვე ცსკა-ს სპორტის სახლში გაიმართება) შეუძლიათ იხილონ ცისფერ ეკრანებზე 2 დეკემბერს, 23 საათსა და 10 წუთიდან (თბილისის დროით). ამავე საღამოს გაიმართება ბოკოვისა და ლენინგრადის ნაკრებთა ტრადიციული მატჩიც.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲡᲝᲤᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲐᲤᲐᲡᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლებმა აღნიშნეს ხალხური სიმღერების პოპულარული შემსრულებლის გ. ტუხაშვილის დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი.

გ. ტუხაშვილი არაერთხელ დაუჯილდოვებიათ დიპლომებით, სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით, თვითმოქმედ კოლექტივებში მონაწილეობისა და ამ კოლექტივების ხელმძღვანელობისათვის, ტელევიზიით და რადიოთი გამოსვლებისათვის. ახლა იგი ხელმძღვანელობს სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობისა და აქაური საშუალო სკოლის თვითმოქმედ კოლექტივებს. (საქინფორმი).

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲛᲔᲯᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ — „კონლია სოვეტეგის" სპორტის სასახლეში მიმდინარეობს მოკრივეთა საინტერესო ტურნირი — სსრ კავშირის მეფ ... ბრე ადსოლუტური პირველობა.

წლევანდელ ტურნირში მონაწილეობს 20 მოკრივე.

გაიმართა პირველი ბრძოლები. მოსკოველმა პეტრი ზაევმა ... რა უპირატესობით მოუგო ... ბიშველ ალექსანდრე კანდირინს. მისმა თანაგუნდელმა ივანენ ... სტკოვმა ქულებით დამარცხა ... როსლოველი ვიქტორ ულანინ. სენსაციური იყო მმიმე წონაში ... ბრძოლა. ... ალ კავშირის წლევანდელი ჩემპიონის, მონრეალის ოლიმპიადის მონაწილის, უკრაინელი მოკრივის ვიქტორ ივანოვის დამარცხება (ნოკაუტით!) სეევრიოდენსკიმ ნიკოლოზ აქსიონოვთან.

სპორტის მოყვარულებს სსრ კავშირის ანსოლუტური ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლა (ისინი უკვე ცსკა-ს სპორტის სახლში გაიმართება) შეუძლიათ იხილონ ცისფერ ეკრანებზე 2 დეკემბერს, 23 საათსა და 10 წუთიდან (თბილისის დროით). ამავე საღამოს გაიმართება ბოკოვისა და ლენინგრადის ნაკრებთა ტრადიციული მატჩიც.

ᲛᲔᲯᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲗᲐᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ — „კონლია სოვეტეგის" სპორტის სასახლეში მიმდინარეობს მოკრივეთა საინტერესო ტურნ